№2552 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 159-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში – დეპარტამენტი) 2015 წელს უზრუნველყოს ადგილობრივი მნიშვნელობის ინგირი–შამგონას საავტომობილო გზის, სოფელ შამგონას ტერიტორიაზე გამავალი მონაკვეთის, სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა და მათთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურების განხორციელება.

2. დეპარტამენტმა, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული, 2015 წელს განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს მისთვის შესაბამისი წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**